მოსკოვი–თბილისი

ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე 24 აგვისტოს ჩატარდა მორიგი კალენდარული მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. ორივე გუნდი მოედანზე გამოვიდა ძირითადი შემადგენლობით.

თამაშის პირველი წუთებიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს თბილისელებმა და თავბრუდამხვევი იერიშები მიიტანეს სტუმრების კარზე. განსაკუთრებით აქტივობდა თბილისელ თავდამსხმელთა მარცხენა ფრთა (ღოღობერიძე, ბერეჟნოი). მე–7 წუთზე თბილისელი მარცხენა გარემარბი ღოღობერიძე შესანიშნავად აწვდის ბურთს ცენტრში. ანთაძე ვერ იყენებს ბურთის გატანის ნაღდ შესაძლებლობას. თბილისელთა იერიშები გრძელდება. მოსკოველი სემიჩასნი კარგად “დარაჯობს” პაიჭაძეს, რომელიც არც კი ცდილობს იერიშით ბურთის გატანას და ზუსტ გადაცემას სჯერდება. მე–20 წუთზე ჯეჯელავას მიერ კორნერიდან მოწოდებული ბურთი ბერეჟნოიმ ზუსტი დარტყმით შეაგდო მოსკოველთა კარში.

თამაში თანდათან გადადის თბილისელთა საჯარიმო მოედანზე. 32–ე წუთზე ტროფიმოვი ძლიერად ურტყამს თბილისელთა კარისაკენ. ბურთი ხვდება მარჯვენა ძელს და მოედანს უბრუნდება. იგივე განმეორდა 3 წუთის შემდეგ, მაგრამ მოსკოველმა მარცხენა გარემარბმა სოლოვიოვმა თავური გარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

მეორე ტაიმი დაიწყო თანაბარი უპირატესობით. მე–15 წუთზე თბილისელი მეკარე შუდრა იგერიებს ძლიერად დარტყმულ ბურთს. მას უსწრებს სოლოვიოვი და ადიდებს ანგარიშს. მეორე მარცხს თბილისელებმა უპასუხეს ახალი იერიშით. 25–ე წუთზე სტუმრების კართან იქმნება არეულობა და ანთაძეს მკერდით გააქვს მეორე გოლი. მსაჯი ამხ. კოლტუნოვი არ თვლის ამ ბურთს. თამაშის ბოლო წუთები მიმდინარეობს თბილისელთა უპირატესობით. მათ კიდევ აქვთ ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შემთხვევა, მაგრამ ანგარიში თამაშის ბოლომდე უცვლელი რჩება.

ჩვენი ქვეყნის ორი უძლიერესი გუნდის შეხვედრა დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით – 2:1.

ა. გოგოლაშვილი.
“კომუნისტი”, 25 აგვისტო, 1945 წ.